

გარემოს გამდიდრების გავლენა ფოცხვერის (*Lynx lynx*) ქცევაზე ტყვეობაში



ქეთევან ორველაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე სიცოცხლის  
შემსწავლელი მეცნიერებების: ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია კოპალიანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

# სარჩევი

აბსტრაქტი.....	2
<b>Abstract</b> .....	3
შესავალი.....	4
საკვლევი ობიექტის აღწერა.....	8
საკვლევი ტერიტორიის აღწერა.....	9
კვლევის მეთოდები.....	11
✓ გარემოს გამდიდრება.....	13
სივრცის გამოყენება .....	25
მიღებული შედეგები.....	27
მიღებული შედეგების განხილვა .....	33
დასკვნები.....	38
მადლობა .....	39
გამოყენებული წყაროები .....	40

## აბსტრაქტი

ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა გარემოს გამდიდრების გავლენა ტყვეობაში მყოფ ფოცხვერის ქცევაზე.

საკვლევი ობიექტები იყო ორი მდედრი კავკასიური ფოცხვერი (*Lynx lynx dinniki*), ლილი და ჰოლი. 114 საათის განმავლობაში ვაკვირდებოდით ცხოველებს და ვინიშნავდით ქცევის ელემენტების სიხშირეს და ხანგრძლივობას, სივრცის გამოყენების ცვლილებებს .

ჩვენს მიერ მიღებული შედეგებიდან ნათლად ჩანს გარემოს გამდიდრების გავლენა ფოცხვერის ქცევაზე. ვოლიერში ახალი ობიექტების შეტანა, საკვების დამალვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ასტიმულირებენ ნადავლის მოპოვების ქცევას. ამის შედეგად იზრდება ქცევითი მრავალფეროვნება და სივრცის გამოყენება სამივე განზომილებით. გარემოს გამდიდრებისას მატულობს სოციალური კონტაქტების მრავალფეროვნება, სიხშირე და ხანგრძლივობა, მიუხედავად იმისა, რომ ფოცხვერი ნაკლებად სოციალური ცხოველია.

ჩატარებული ხანმოკლე კვლევაც კი ხაზს უსვამს ტყვეობის პირობებში ვოლიერში გარემოს სხვადასხვა მეთოდებით გამდიდრების მნიშვნელობას ფოცხვერის ქცევითი მრავალფეროვნების გამოვლენისთვის.

## Abstract

Our aim was to study the effect of environmental enrichment on the behavior of lynx in captivity.

The research subjects were two female Caucasian lynx (*Lynx lynx dinniki*), Lily and Holly. We have been observing the animals for 114 hours and noted the frequency and duration of the behavioral elements and changes in space use. As a result, behavioral diversity and spatial use are increased in all three dimensions. When the environment is enriched, the variety, frequency and duration of social contacts increases, even though the lynx is a less social animal.

Our results clearly show the influence of environmental enrichment on lynx behavior. Introducing new objects into the aviary, using different methods of hiding food stimulate hunting behavior.

Even the short-term study conducted under conditions of captivity emphasizes the importance of enriching the environment in the aviary with different methods to reveal the behavioral diversity of the lynx.